

## განმარტებითი ბარათი

### „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება რომლის თანახმად, სატენდერო მოსაკრებელი 2010 წლის 1 დეკემბრამდე ნაცვლად 200 ლარისა განისაზღვრება 150 ლარით, ხოლო 2010 წლის 1 დეკემბრიდან სატენდერო მოსაკრებელი გაუქმდება, რადგან სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდება ელექტრონულად, რისთვისაც დაწესებულია საფასური 50 ლარის ოდენობით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებები მიზნად ისახავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტით განხორციელებულ ცვლილებებთან „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანას.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტში 150 ლარის მითითებას, ნაცვლად 200 ლარისა, ხოლო 2010 წლის 1 დეკემბრიდან ადგილობრივი მოსაკრებლების მარეგულირებელი მე-13 მუხლის კანონიდან ამოღებას.

##### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას სატენდერო მოსაკრებლის ოდენობის შესაბამისად, რაც შეადგენს 1.5 მილიონ ლარს, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის დანერგვით მოხდება ჩვენს ქვეყანაში მთლიანი სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი სახსრების 20-25% ეკონომია, რაც, საბოლოო ჯამში, რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს შეადგენს.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

##### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავების პროცესში წარმოებდა კონსულტაციები სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია, ზვიად კუკავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია, ზვიად კუკავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი.